ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-153

2010 წლის 29 დეკემბერი

## ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №-100-ში მდებარე კინოთეატრის საიჯარო ქირის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ და „ძ“ ქვეპუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად:

1. ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №-100-ში მდებარე კინოთეატრის 358.3 კვ.მ. საიჯარო ფართის ქირა განისაზღვროს 9993.00 (ცხრა ათას ცხრაას ოთხმოცდაცამეტი) ლარის და 00 თეთრის ოდენობით.
2. საიჯარო ფართის 304,1 კვ.მ. მოიჯარეს გადაეცეს უზუფრუქტის წესით.
3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ კინოთეატრის იჯარით გაცემის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ამ განკარგულების ძალაში შესვლისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 7 დეკემბრის №-133 განკარგულება.
5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).
7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე